დანართი №2

სსიპ კოლეჯ მერმისის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თექის დამზადება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი

წევრები:

დავით ხუციშვილი

ნინო გზირიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი მერმისი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: -209467646

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.07.2026 წლის №939648 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ მერმისში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ “ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 27 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ მერმისში (მის: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი 9ა.). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. განხორცეილდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტზე. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (31.12.2021 N04-446, ცვლილება 27.10.2025 N1414682) პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: ა) უმაღლესი/პროფესიული/ზოგადი განათლება; ბ)სასურველია კანდიდატს ჰქონდეს მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამისი დარგობრივი პროფილით ან/და პედაგოგიური მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თითოეული განმახორციელებელი პირის პირად საქმეს. ყველა მათგანს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან /და დარგში მუშაობის მრავალწიანი გამოცდილება. შესაბაისად, ზემოაღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკაში არ იკვეთება. დაწესებულება ფაქტობრივად უფრო მაღალ სტანდარტს იყენებს, ვიდრე ეს მარეგულირებელ დოკუმენტშია ასახული. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისას ეყრდნობიან კანდიდატის განათლებას, დარგობრივი მიმართიებით, ან სამუშო გამოცდილებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, დოკუმენტში განსაზღვრული ფორმულირება – „სასურველია“ ჩანაცვლდეს სავალდებულო მოთხოვნით, რათა მარეგულირებელი დოკუმენტი სრულად ასახავდეს დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის პროცესის ერთგვაროვნებას.

2.2.1 7. დაწესებულებას პროგრამის რენტაბელობის ზღვარი დათვლილი აქვს 5 პროფესიულ სტუდენტზე, იმ კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელსაც ადგენს მთავრობის 244-ე დადგენილება. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯს არც ერთ მიღებაზე არ ჰყოლია მხოლოდ 5 პროფესიული სტუდენტი და აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია მხოლოდ თეორიული მინიმუმის სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ კოლეჯს არც ერთი მიღების ფარგლებში არ ჰყოლია 10-ზე ნაკლები პროფესიული სტუდენტი, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელების პრაქტიკული გამოცდილების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება განსაზღვრულ რენტაბელობის ზღვარს. ამასთან, რენტაბელობის ზღვარი წარმოადგენს იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის პირობებშიც პროგრამის განხორციელება ფინანსურად მიზანშეწონილია. შესაბამისად, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი უნდა იყოს აგებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწორედ ამ მინიმალურ რაოდენობაზე და ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას იმ შემთხვევაშიც, თუ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა მხოლოდ რენტაბელობის ზღვარს გაუტოლდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენისას რენტაბელობის ზღვარი განსაზღვროს იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც რეალურად წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ფინანსურ მინიმუმს, რათა ბიუჯეტი ობიექტურად ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

2.4.1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად მექანიზმებს, თუმცა კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს უშუალოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვის კომპონენტს, შესაბამისად, მიზანშეწონილია მისი რეგულირება მოხდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი პროცედურების ერთიან დოკუმენტში თავმოყრა. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია , სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახოს კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯი ეთანხმება დასკვნის პროექტში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს და სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები, სადაც გათვალისიწნებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	თექის დამზადება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის ბრძანება №710687, 12.06.2026წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი 9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	--
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მისიაა ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნების, ინჟინერიის და წარმოების სფეროების პროგრამებით ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში ადგილობრივი და ევროპული შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით, სოციალური ინკლუზიის ჩართულობით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით წვლილის შეტანა. დაწესებულების მისიასა და ხედვაზეა დამყარებული კოლეჯის სტრატეგია. სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, პირველი სტრატეგიული მიზანია 2027 წლის 1 იანვრისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება/ გადამზადების პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N04 – 44 ბრძანებით (ცვლილება 21.06.2021 N04-220) დამტკიცეცბული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“ არეგულირებს სსიპ - კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დაგეგმვის პროცესი მოიცავს ახალი პროგრამის ინიცირებასა და მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას, ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის თანამშრომელი (დირექტორის მოადგილე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვა), დამსაქმებელი, ან სხვა დაინტერესებული პირი. ახალი პროგრამის დამატების/ცვლილების/გაუქმების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქნება მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც განიხილავს ახალი პროგრამის დამატების არსებული პროგრამის ცვლილების/გაუქმების ინიცირების შესახებ განაცხადს. კომისია განაცხადის განხილვისას ითვალისწინებს მის შესაბამისობას კოლეჯის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კოლეჯის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი, პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ გაცემული თანხმობის წერილი პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შესახებ) დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება მხატვრული ქსოვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება გამყარებულია რელევანტური არგუმენტებითა და კვლევებით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2023 წლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული, „შრომის ბაზრის ანალიზი“, რომლის მიხედვით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზის მიმოხილვაში მოცემულია, რომ 2022 წელს საგრძნობლად გაიზარდა რესპუბლიკის მასშტაბით სახელოვნებო და ხალხური რეწვის რეალიზაციის სალონები, რაც თავისთავად სამუშაო ადგილების ზრდასაც უწყობს ხელს. გარდა ამისა, თექის დამზადება ქართული ტრადიციული კულტურის განუყოფელი ნაწილია. თექის დამზადება საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეცხვარეობასთან, მთის კულტურასა და ხალხურ ყოფასთან. ამ ხელობის შენარჩუნება ნიშნავს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. თექის დამზადების ტექნოლოგია, ორნამენტები, ფერთა შეხამება და დეკორირების მეთოდები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მათი სწავლება ხელს უწყობს ტრადიციული ცოდნისა და უნარების შენარჩუნებას. თექა მზადდება მატყლისგან, რომელიც საქართველოში ფართოდ ხელმისაწვდომი ბუნებრივი რესურსია. მისი გადამუშავება ზრდის მატყლის ეკონომიკურ ღირებულებას და ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. თექის ნაწარმის წარმოება ქმნის თვითდასაქმებისა და მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას, ქალაქსა და განსაკუთრებით მაღალმთიან და სოფლის რეგიონებში, სადაც მეცხვარეობა ტრადიციული საქმიანობაა. შესაბმისად თექის დამზადება არ არის მხოლოდ ტრადიციული ხელობა. ის აერთიანებს კულტურულ მემკვიდრეობას, ადგილობრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, პროფესიულ განათლებას, მეწარმეობას, ტურიზმსა და შემოქმედებით ინდუსტრიებს. ამ დარგის განვითარება ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას და საქართველოს კულტურული პოტენციალის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენას.
კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმები თანხვედრაშია განსახორციელებელი პროგრამის მიზნებთან და ორიენტირებულია სრულად საზოგადოების დაკვეთაზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რომელიც სრულად შესაბამისია ჩარჩო დოკუმენტში აღნიშნული წინაპირობისა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის წესი, სადაც გაწერილია აპლიკანტთა შერჩევისა და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, აღნიშნული წესი შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება ქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას დადგენილ ვადებში. დაშვების წინაპირობა არის მკაფიო, დასაბუთებული და შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, ხოლო ჩარიცხვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები უზრუნველყოფს აღნიშნული წინაპირობის პრაქტიკულ შემოწმებას **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის N04-357 ბრძანებით (ცვლილება 11.11.2019 N4-142) დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად, ერთ სივრცეში A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება. დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პრაქტიკის ობიექტების რესურსი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. მოცემული პროგრამის განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის მინიმალური სარეკომენდაციო ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თექის დამზადება“ არ მოიცავს არჩევით მოდულს
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N126/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „მერმისის“ წესდებისა და კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თექის დამზადება“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 12.06.2026 წლის №710687 ბრძანებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „თექის დამზადება“, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მხატვრული ქსოვილები / Artistic Fabrics, სარეგისტრაციო ნომერი 02126-პ. სწავლის შედეგებთან: შექმნას ესკიზი; მოამზადოს მატყლი თელვისათვის; მოთელოს მატყლი სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით; მოთელოს მატყლი მოცულობით ფორმებზე; დაამზადოს მხატვრული თექის ნაწარმი და აქსესუარები; შექმნას მხატვრული ქსოვილი - ქვილთი და ა.შ.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პროგრამის შემუშავების საფუძველია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი „მხატვრული ქსოვილები / Artistic Fabrics, სარეგისტრაციო ნომერი 02126-პ“. რომლის მოთხოვნები სრულადაა გათვალისწინებული განსახილველი პროგრამის შედგენისას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც (A2), მითითებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის აღნიშნული ქართული ენის მოდულის გავლის ვალდებულების საფუძველიც.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია „თექის დამზადებაში / .Basic Vocational Qualification in felt Preparation. სარეგისტრაციო ნომერი 02126-პ“. (კოდი 0214), დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო არაინტეგრირებული პროგრამის მოცულობა შეადგენს 76 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროფესიული პროგრამის მოცულობა შეადგენს 91 კრედიტს. არაინტეგრირებული პროგრამა მოიცავს 7 ზოგად მოდულს ჯამური 19 კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 20 კრედიტის ოდენობით და თექის დამზადების 5 პროფესიულ მოდულს 37 კრედიტის ოდენობით. პირმა საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად „თექის დამზადებაში“ უნდა დააგროვოს ჯამში 76 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა ჯამში 91 კრედიტი. აქედან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თექის დამზადება;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;*
- *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი";*
- *კოლეჯ „მერმისის" წესდება;*
- *გასაუბრება.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თექის დამზადება“ ხორციელდება ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი 9ა-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია C გარემო თექის დამზადების სახელოსნო №313 აუდიტორია, A C გარემო სამკერვალო სახელოსნო №309 აუდიტორია, C გარემო ხატვის ოთახი №412 აუდიტორია, B გარემო კომპიუტერული კლასი №307 აუდიტორია, A გარემო №410 აუდიტორია, A გარემო ინგლისურის კაბინეტი №403 აუდიტორია, ყველა მოდული ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა არის თითოეულ აუდიტორიაში 16, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 16 X 2 = 32 პროფესიული სტუდენტი.

C აუდიტორია (თექის დამზადების ძირითადი სახელოსნო) აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით - სპეც. მოზრდილი 4ც მაგიდა, რომელზეც თავისუფლად შეიძლება მატყლის მოთელვა სველი და მშრალი მეთოდით, მოცულობითი ფორმის (ქუდი) მისაღებად საჭირო 14ც ყალიბი, სპეც. აბაზანა 1ც, ქალის და კაცის მანეკენი, მძიმე უთო თავისი სპეც. მაგიდით, ქსოვილის საშრობი, ხის ქვეჩარჩო ბატიკის 7ც, სპეც გამწოვი, ორთქლსახარში, თმის ფენი, ემალის ქვაბი, ჯამი, სათლი, ნიკელის თასი, ქალისა და მამაკაცის კალაპოტი. C გარემო თექის დამზადების სახელოსნოში ხორციელდება მოდულები:

გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები;
საფეიქრო მასალების ღებვა;
ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა);
მატყლის თელვა სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით;
მატყლის თელვა მოცულობით ფორმაზე;
მხატვრული თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება;
პრაქტიკული პროექტი - თექის დამზადება.

A C აუდიტორია (სამკერვალო სახელოსნო) აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით - საკერავი 7ც მანქანა, მაღალ სიჩქარიანი ორნემსიანი ამომხვევი 1ც მანქანა (ოვერლოკი), ვიწრო საუთოო 1ც დაფა, ღილის დასაკერებელი ნახევრად ავტომატური 1ც საწარმო მანქანა, ღილკილოს შემსრულებელი 1ც სწორხაზოვანი მანქანა, ფიგურული გვირისტის შემსრულებელი სპეც. 1ც მანქანა „რასპაშილოვკა“, პროფესიონა 1ც უთო, ქალის და მამაკაცის მანეკენი, მაკრატელი სხვადასხვა ნომრის, ტანსაცმლის მეტალის საკიდი, ზიგზაგის მაკრატელი, ქარგა 10ც, საჭრისი რკინის 5ც, სახაზავების ნაკრები, საკლასო მერხი-სკამი 16ც, მასწავლებლის მაგიდა სკამი. A C გარემო სამკერვალო სახელოსნოში ხორციელდება მოდული:

ქვილთი - ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება.

C აუდიტორია (ხატვის სახელოსნო) აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით - სამხატვრო სკამი (ტუმბო) 20ც, მაგიდა ნატურმორტის დასადები 2ც, მოლბერტი 12ც, მხატვრის დაფის სადგამი 9ც, მხატვრის რეკვიზიტი- დოქი, ფიალა, ფაიფურის ჭიქა, თაბაშირის ფიგურები (ცილინდრი, კონუსი, სფერო, კუბი, პირამიდა, ორნამენტი). C აუდიტორია ხატვის სახელოსნოში ხორციელდება მოდული:

აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემო კომპიუტერული კლასი აღჭურვილი სპეციალური ინვენტარით - სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი (კომპლექტი) 20ც, პროექტორი, მასწავლებლის მაგიდა, მოსწავლის მაგიდა 20ც, საოფისე სკამი 20ც, პრინტერი 1ც, მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი 1ც, ქსელის გამანაწილებელი 1ც, ოპტიკალი 1, ლედლის დაფა 1ც, ups 1ც. HP AMD A8, RAM 4GB, HDD 500GB, სისტემური ბლოკი CZC637CPM3, მონიტორი CNK629159T. B აუდიტორიაში ხორციელდება მოდული:
ინფორმაციული წიგნიერება 1.

A გარემო ინგლისურის კაბინეტი აღჭურვილია ინვენტარით - სასკოლო მერხი და სკამი 20, დაფა 1ც, სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი (კომპლექტი), კარადა სადგამი კაუჭებით 1ც. A ინგლისურის აუდიტორიაში ხორციელდება მოდული:
უცხო ენა.

A გარემო თეორიული აუდიტორია აღჭურვილია ინვენტარით - პროექტორი 1ც, სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი (კომპლექტი), საოფისე სკამი ისო 1ც, სასკოლო მერხი და საკამი 20ც, დაფა 1ც, დახურული კარადა, ხმის გამაძლიერებელი 1ც. A აუდიტორიაში ხორციელდება მოდული:
ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
მეწარმეობა 1;
რაოდენობრივი წიგნიერება;
სამოქალაქო განათლება;
გარემოსდაცვითი საფუძვლები;
გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები;
საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები.

დარგის უკეთესად გაცნობის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 2 პარტნიორ ორგანიზაციასთან:
ქ. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გობელინისა და მხატვრული ტექსტილის მუზეუმი;
შპს „მაგთი“- „ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გარემოსა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 22 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 17 განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 5 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 22/32.

პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პერსონალი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ, პრფესიული საგანმანათებლო სტანდარტის გადამუშავებაში, ასევე კოლეჯში მოდულების ადაპტირების პროცესში, მათგავლილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (31.12.2021 N04-446, ცვლილება 27.10.2025 N1414682) პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: ა) უმაღლესი/პროფესიული/ზოგადი განათლება; ბ)სასურველია კანდიდატს ჰქონდეს მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამისი დარგობრივი პროფილით ან/და პედაგოგიური მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თითოეული განმახორციელებელი პირის პირად საქმეს. ყველა მათგანს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან /და დარგში მუშაობის მრავალწიანი გამოცდილება. შესაბაისად, ზემოაღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკაში არ იკვეთება. დაწესებულება ფაქტობრივად უფრო მაღალ სტანდარტს იყენებს, ვიდრე ეს მარეგულირებელ დოკუმენტშია ასახული. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისას ეყრდნობიან კანდიდატის განათლებას, დარგობრივი მიმართიებით, ან სამუშო გამოცდილებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, დოკუმენტში განსაზღვრული ფორმულირება – „სასურველია“ ჩანაცვლდეს სავალდებულო მოთხოვნით, რათა მარეგულირებელი დოკუმენტი სრულად ასახავდეს დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის პროცესის ერთგვაროვნებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური, წარმატებული კადრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 12 ნოემბრის N04 – 145 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლითაც რეგულირდება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება, რომელიც მორგებული იქნება სსსმ პირზე, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლის წყაროდ განსაზღვრულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- დიპლომების, დანართების და სტუდენტთა ბარათების დამზადების ხარჯი;
- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი.

დაწესებულებას პროგრამის რენტაბელობის ზღვარი დათვლილი აქვს 5 პროფესიულ სტუდენტზე, იმ კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელსაც ადგენს მთავრობის 244-ე დადგენილება. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯს არც ერთ მიღებაზე არ ჰყოლია მხოლოდ 5 პროფესიული სტუდენტი და აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია მხოლოდ თეორიული მინიმუმის სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ კოლეჯს არც ერთი მიღების ფარგლებში არ ჰყოლია 10-ზე ნაკლები პროფესიული სტუდენტი, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელების პრაქტიკული გამოცდილების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება განსაზღვრულ რენტაბელობის ზღვარს. ამასთან, რენტაბელობის ზღვარი წარმოადგენს იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის პირობებშიც პროგრამის განხორციელება ფინანსურად მიზანშეწონილია. შესაბამისად, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი უნდა იყოს აგებული სწორედ ამ მინიმალურ რაოდენობაზე და ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას იმ შემთხვევაშიც, თუ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა მხოლოდ რენტაბელობის ზღვარს გაუტოლდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენისას რენტაბელობის ზღვარი განსაზღვროს იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც რეალურად წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ფინანსურ მინიმუმს, რათა ბიუჯეტი ობიექტურად ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თექის დამზადება*
- *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი ;*
- *პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმები;*
- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;*
- *გასაუბრება;*
- *დათავლიერების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. კოლეჯში პროგრამის შეფასებას ახდენს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამის შეფასება ხდება სხვადასხვა კომპონენტებისა და ინდიკატორების საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. პროგრამის შეფასებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალური კითხვარების შევსების მეთოდით მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. აღნიშნული დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე .პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. აღნიშნული გარემოება დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა დადაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;*
- *გასაუბრება*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თექის დამზადება“ შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება მოდულებში განსაზღვრულ საათობრივ დატვირთვას. წარმოდგენილი სასწავლო გეგმა იძლევა პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების მკაფიო სურათს, უზრუნველყოფს მოდულების განხორციელების ლოგიკურ ურთიერთკავშირსა და წინაპირობების გათვალისწინებით მათ სწორ თანმიმდევრობას. ამასთან, პროფესიული სტუდენტის კვირეული სასწავლო დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ 40 საათს. დაწესებულების სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელება, რაც ფორმდება დაწესებულების დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად მექანიზმებს, თუმცა კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს უშუალოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვის კომპონენტს, შესაბამისად, მიზანშეწონილია მისი რეგულირება მოხდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი პროცედურების ერთიან დოკუმენტში თავმოყრა. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია , სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახოს კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტები არეგულირებენ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შემოწმების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომელთა შეფასებებით დადასტურდა, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს (ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, როლური თამაში, სიმულაციები და სხვა). მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს სათანადოდ აღჭურვილ სახელოსნოებსა და ლაბორატორიებს. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაეწრილი სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა/წარმომადგენლების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ გარემოში, შესაბამისად, პროგრამის თანაგანხორციელებაში ჩართული არ არის ორგანიზაცია, თუმცა დარგის უკეთესად გაცნობის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 2 პარტნიორ ორგანიზაციასთან:

- ქ. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გობელინისა და მხატვრული ტექსტილის მუზეუმი;
- შპს „მაგთი“- „ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი“.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.კოლეჯს შემუშავებული აქვს ზოგადი უსაფრთხობის წესები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,თექის დამზადება“ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთხოების პირობების შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *შრომის უსაფრთხოების მექანიზმები;*
- *გასუბრების შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებაში დანრეგილია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია შედეგების დადასტურების, გასაჩივრების, განმეორებით შეფასებაზე გასვლის, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების პროცედურები, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებული არიან გააცნონ პროფესიულ სტუდენტს შეფასების სისტემა.შეფასების პროცესამდე 10 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტის ჩართულობით. შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და შემფასებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ამავე ინსტრუმენტის ვალიდატორი. წესის მიხედვით დაწესებულება ასევე ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი უძღვება შეფასების პროცესის ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილი, ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნეს ჩართული პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სახით მონაწილეობდა მის შექმნაში. ვერიფიკაცია ტარდება შერჩევითობის პრინციპით, ხოლო შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიში გაწერილია შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პერიოდულად იხილავენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, პროფესიული სტუდენტები ღებულობენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები, შედეგების განხილვა პროფესიული მასწავლებლის მიერ ხორციელდება განზოგადოებულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

19.08.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: